

ცვლადკოეფიციენტიანი ორწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნა ოპერატორულ-საინტერპოლაციო მეთოდით

არჩილ პაპუკაშვილი, ბექა თეზელიშვილი, ზურაბ ვაშაკიძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,

ნაშრომში ორწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისთვის გამოწერილია ახალი სათვლელი ალგორითმები. მოცემული სასაზღვრო ამოცანის გრინის ფუნქციას, განხილულს როგორც არაწრფივ ოპერატორს ცვლადი კოეფიციენტის მიმართ, ვუკეთებთ აპროქსიმაციას ნიუტონის ტიპის ოპერატორულ საინტერპოლაციო პოლინომების გამოყენებით. მოყვანილია ალგორითმების აღწერა და ტესტური ამოცანების თვლის შედეგები.